36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი



1936 წ.

№2

პროლეტარეტნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ოქტომბრელი“

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. ზანსახკომის ერთთვიური ორგანო

№ 2

თებერვალი 1936 Წ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔ-10

საქ. კ. პ. (ბ) Ც. Კ-ᲘᲡ ᲒᲐᲛ. „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. №-3-02-61

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

1- საბჭოთა საქართველო 15 წლისაა 1
2. ბელურა (ლექსი) — **გ. კაჭახიძისა** 2
3. გომურის დასასრული — **ლავრენტი ჭიჭინაძისა** 3
4. უბედური მელია (ლექსი) — **არნო ონელისა** 7
5. პატარა მეგობარი — **კლავდია დევდარიანისა** 8
6. პიონერები ყრილობაზე 10
7. ზამთარი (ლექსი) — **დარია ახვლედიანისა** 11
8. ძველი ამბავი — **ეკატერინე გაბაშვილისა** 12
9. მაშკა — **ნინო ტყეშელაშვილისა** 14
10. ნოდარი, ციალა და ცუგა (ლექსი) — **გ. ქუჩიშვილისა** 15
11. სიზმარა — **სერგო კლდიაშვილისა** 16
12. ზამთარი (ლექსი) — **სანდრო ჟღენტისა** 19
13. საუბარი ოქტომბრელებთან — **ივ. გომართლისა** 20
14. ციებცხელება შეჭამა..... თევზმა — **შ. თაბ-ლისა** 22

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

15. გაუთავებელი ამბავი ფრანგულიდან გადმოკეთებული **ე. აბრამიშვილის** მიერ 23

16. გასართობი . . . . . გარეკანის 3 გვერდზე

16. ლომი და კურდღელი — **კლ. თევზაძისა** . . გარეკანის 4 გვერდზე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ გაფორმებულია მხატ. ი. ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ და დ. ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მიერ.

პ/მგ. **რედაქტორი ᲑᲐᲑᲣ ᲭᲐᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** პ/მგ. **მდივანი Ლ. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ**

მთ. № 11604—ა, ტირაჟი 17000, შეკვ. № 3426 გაზ. „კომუნისტი“-ს გ-ბის სტამბა კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო 15 წლისაა

„ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,
ეს შრომა მაინც ფუჭია,
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო,
ვერ გამოვიძღე კუჭია“.

მოთქვამდა წინათ გლეხი. ან კი რაგორ შეეძლო წლის სარჩოს მოეგანა გლეხს, როდესაც მამასახლისი, გზირი, მოხელე და ძღვდელი ეველა მას შესცქეროდა.

ასე იყო მეფის დროს. სიღატაკისა, უსამართლობისა და სიბნელისაგან მშრომელ ხალხს სული ეხუთებოდა.

გლეხის ბოგონებსა და ბიჭებს სწავლა ენატრებოდათ. „მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ, მასწავლეთ წერა-კითხვაი“— ეეედრებოდა ბატარა ბიჭი მცოდნეებს, მაგრამ მისთვის აბა ვის ეცალა!

დაჭაობებული კოლხიდის მუდმივი სტუმარი—ციება ანადგურებდა მცხოვრებთა ჯანმრთელობას.

მშრომელები იბრძოდენ მეფის მთავრობის დასანგრევად. აი ოქტომბერმაც იფეთქა, მაგრამ საქართველოში მენშევიკები გაბატონდენ.

„მენშევიკების ხელშიო, ვერ გევიმართე
წელშიო,
ყაჩაღად გადავარდნილი, ვკვდებოდი ტყე
და ღრეშიო.
შეეპამეს, გაანადგურეს, გაქელეს საქართვე-
ლოო“...

ასე ამბობს მშრომელი ხალხი მათ შესახებ. ამიტომაც იყო, რომ

„ვერ მოვითმინეთ, ავჯანყდით
გლეხ-შვილნი მთა და ბარადა“.

...და აი დადგა 1921 წლის 25 თებერვალი. საქართველოში ამ დღეს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მხოლოდ ახლა ამოისუნთქეს მშრომელებმა. ფაბრიკა-ქარხნებით დაიფარა ჩვენი ლამაზი ქვეყანა, საკოლმეურნეო მშენებლობამ მძლავრად გაშალა ფრთები, კოლხიდის ჭაობები ციტრუსების ბაღნარად იქცა, და რა საკვირველია, რომ ქართველი გლეხი ასე ამღერდა:

„უწინ თუ მამასახლისი
სიოლა გვწოკდა სისხლსაო,
მებრძოლმა ბოლშევიკებმა
ამ ჭირისაგან გვიხსნაო.
დაწვეს და გაანადგურეს
წარსული ნაშთი ყოველი,
ზედ ააშენეს ქვეყანა,
მშრომელთა მხარე ცხოველი“.

აი, დღეს საბჭოთა საქართველო 15 წლისაა. ის ორდენოსანია. აღარავინ ოცნებობს წერა-კითხვის ცოდნაზე. ათასობით, ათიათასობით ბედნიერი ბავშვები მხიარული ჟრიამულით აცოცხლებენ საბჭოთა სკოლებს.

მაგრამ განა მარტო ბავშვები სწავლობენ? ვინ მოთვლის, რამდენმა უცოდინარმა ისწავლა წერა-კითხვა, შეიძინა ცოდნა და გახდა ექიმი, ინჟენერი, მასწავლებელი, აგრონომი!

საბჭოთა საქართველოს წინ ქიუქეფის ორდენოსანი, ეველა მშრომელისთვის საეკარელი ამხ. ლავრენტი ბერია და მიჰყავს იგი სულ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

ბედნიერი მშრომელი ხალხი მხიარულად მღერის, ეველგან მადლობით იხსენიებენ მშრომელთა დიდ ბელადს ამხ. სტალინს.

„დღეს გამარჯვების ალმი
გვიზიდავს, როგორც ვარდია,
კოლმეურნული სალამი
ლენინ-სტალინის პარტიას!“

ასე მღერის საბჭოთა სოფელი.

●●●

გიორგი კაჭახიძე

ფანჯარასთან აივანზე
მოფრინდება ხშირად მარტო,
ფრთებს დაიბერტყს და თავისთვის
საკენკსა და სითბოს ნატრობს.
ცივა ძლიერ, აბა ჩემებრ
ამ ზამთარში სად გათბება?!
როგორ უნდა დაიფაროს,
საცოდავი, მარტო ფრთებმა!
მებრალება, თანაც ფრთხილად
მსურს გავუღო ბინის კარი;
შემოფრინდეს, აიცილოს
შიმშილი და ცივი ქარი.
მინდა იყოს ჩემთან დიდხანს,
დააღწიოს თავი სიკვდილს,
ნახოს შემდეგ გაზაფხული,
ბალები და გაშლა კვირტის.
მაგრამ ჩიტი ფრთხება, გარბის,
რა გავუღებთ ფართოდ კარებს,
ჩემს სურვილს და მონდომებას
არ ღებულობს, არ იკარებს?
რა უნდა ვქნა! რას გავხდები!
მეკარგება ფიქრი, გარჯა.
საბრალოს კი კვლავ შიმშილი,
მოწყენა და ეინვა ტანჯავს.
მწყინს, და ისევ ჩემს ფისოებს
იატაკზე ვუფენ ჭილოფს,
თორემ, აი, ამ ბეღურამ
ლამის დარდი გამიჩინოს!

ლავრენტი ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ეროვნის დასასრული

I

ახალი დაწყებული იყო 1921 წელი. ცივი სუსხიანი ქარი დაშხუოდა ტირიფონის ტრიალ მინდვრებზე...

ქარ-ყინვა ასრობდა ყველაფერს...

ტირიფონა გორიდან ოცი კილომეტრით იქნება დაშორებული. იქ რამდენიმე ჰატარა სოფელია, ერთ მათგანს სობისს ეძახიან.

სობისელი გლეხები უძველესი ადამიანებივით გომურებში ცხოვრობდენ.

თებერვალია...

მენშევიკების გვარდიელები, ბუწკარაშვილის მეთაურობით, სობისის მახლობლად დგანან. ისინი აწიოკებენ გლეხებს. საწყალ გლეხებს ცხვრისთვის თვალი ვეღარ მოუშორებიათ: გვარდიელები იჭერენ, და ყოველ ნაბიჯზე ცხვარი იკვლება.

სობისელი გლეხი გიგო ფსუტური მთელი დღე ცხვარს მწყესავდა ტირიფონაზე და საღამოჟამს ადრე მორეკა. გომურიდან ცოლი გამოეგება, თან ამოჰყვა რვა წლის ბიჭუნა ნიკა. ეგი მშობლებს მიეშველა, ცხვარი გომურში ჩაარეკინა და სულ ბოლოს თვითონ ჩავიდენ ამ ვეება სოროში ლაპარაკ-ლაპარაკით.

—გაუწერათ ჩემი გამჩენი ამ გვარდიელებსა; მაინც სად მაიყარეს თავი ამოტენა ოხრებმა; კაცს ცხვარი ვეღარ გაგიშვია საძოვარზედა!—საუბედურით თქვა გიგომ.

—დღეს კაცი მოვიდა, ასე თქვა, ბუწკარაშვილმა გამომგზავნია. თქვენზე ცხვარია შემოწერილი, დღესვე უნდა გამოგზავნოთო,—დაახვედრა სიტყვა ცოლმა.

—ჰო, მინდვრებში რო დაეპატრონენ, ახლა შინაც შამაიჭრენ. ხედავ, ძალადაც რო გვტაცებენ! უცქირე ამ ოხრებსა, უცქირე!

ასეთი არასასიამოვნო მუსაიფით ჩავიდენ გომურში. სახეგაყვითლებული ნიკა ხან მამას უცქერს, ხან დედას და ხმას კი არ იღებს.

უცნაურად მოწყობილია მათი გომური. იქ სუყოველთვის ღამეა. გომურის იატაკი, კედლები და სახურავი მთლად მიწისაა, და სიდამპლის სუნია ყველგან. ერთ კუთხეში ცეცხლი მოანთეს და მხრჩოლავი გაზივით დაიწყო ბოლვა. ბავშვები გარს ეხვევიან ცეცხლს, თვალები ეწვით, ცრემლი ჩამოსდით. ისინი ცეცხლს უახლოვდებიან, სცივათ, მაგრამ წინ ცეცხლი წაავთ და უკანიდან სიცივე ეინავთ. ამავე გომურშია მოთავსებული კამეჩი, ცხვარი, ქათმები და ყველა საოჯახო ნივთი, თუ კი რამ გაახნდათ.

ცეცხლს რომ შეუკეთეს, გაეინულმა სახურავმა ლბობა დაიწყო, ცვივა ტალახიანი

წვეთები. ამ წვეთებით არის გაფუჭებული ქვეშაგები, და ბავშვებს თმა ხომ სულ ტალახით აქვთ სავსე. არც ნაზამთრი ცხვრის მატელი ვარგა.

II

გიგო ნახევრად დახუჭული თვალით ძლივს უცქერის ნაკვერჩხლებს. მოულოდნელად გარედან ხმა შემოესმა:

—გიგუც!

—ბუწკარაშვილის გამოგზავნილი კაცი იქნება,—ჩუმად წაილაპარაკა გიგომ და კარებისაკენ გაეშურა.

გომურის კარზე მომდგარიყო უცნაურად გაბურძგნული ტანუჭიანი კაცი. მას მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული.

—რითვინ მეძახი, ჯოუ?

—როგორ თუ რითვინა? გვარდიელები შიმშილით იხოცებიან. მთელი კვირაა წითლებთან იბრძვიან, ახლა აქ ისვენებენ... შენ ცხვარი რითვინ ამოგიყვანეს გზავნე?

—ჯოუ, რას ამბობ შენა, რის ცხვარი! ვითომ რათაო? ჩემგან წინათაც ხო წაიყვანეთ.

—გიგუც, ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა.

—ერთი ეს მითხარი შენა, მენშევიკებმა რო გაიმარჯონ, ახირ ამ ორმოდან ამოგვიყვანენ?—და თანაც გომურზე მიუთითა.

—ჯოუ, რას ამბობ, გომურიდან რო ამოგიყვანონ, ხო მოკვდები სიცივითა. ცხვარი გამორეკევი, ცხვარი!—ახლა კი ბრძანებით შეუყვირა თოფიანმა.

გაჯავრებულმა გიგომ ახედ-დახედა ამ ამაყად მოლაპარაკე კაცს და მერე გულში გაიფიქრა: „თოფი გაქვს და ცა-

ლიელმა რა უნდა გიოო“,—და უხმოდ ამოურეკა ცხვარი. ტაბუჭიანმა კი ნიშნის მოგებით ჰკითხა:

—ხო მსუქნებია?

—ჰაი, ბეჩავ, კბილსაც რო უსინჯავ!—გადააქნია თავი გიგომ.

გომურიდან ნიკაც ამოჰყვა, მაგრამ მერე რა? თოფიანმა ხუთივე ცხვარი გზას გაუყენა. ძალიან შეწუხდა გიგო ფსუტურის ოჯახი, სხვაგანაც ამისთანა მდგომარეობა იყო.

გვარდიელებს რა ენადვლებათ, ჯამენ მუქთად ნაშოვნ ცხვრის ხორცს. ბუწკარაშვილი ცხელ-ცხელ ნაჭრებს დაუღეჭავად ელაპავს, ინგლისური ჯიშის ჯორებმა კი ხეხილი დახრეს, რითაც სობისი ისეც დარიბია.

ბუწკარაშვილის უმსგავსო და თავხედური ქცევის გამო სობისელი გლეხები ეოველდღე გადადიან წითლების ბანაკში. ერთხელ, ნაშუადამევს, გიგოც გაიპარა. იგი ფარნიევის ასეულში მოხვდა.

სობისელებმა ჰირველად იუცხოვეს თოფის ხმა, შეეშინდათ, მერე შეეჩვიენენ თოფების გუგუნსა და ტყვიამფრქვევების კაკანს. ახლა ადარც მარტო დარჩენილ ნიკასა და დედამისს ეშინიათ.

მზე ახალი ჩასული იყო, როცა ფარნიევი იერიშზე გადავიდა. ტყვია დაუშინეს სობისში დაბანაკებულ გვარდიელებს.

ბუწკარაშვილს ადგილზე გაჩერება ადარ შეუძლია და მოულოდნელად გასცა ბრძანება, რომ წესრიგით დაეხიათ უკან, მაგრამ გვარდიელებმა რაკი ჰირი იბრუნეს, სულ ერთად წამუნძულდენ. ისინი გომურებზე ბრაგაბრუგით გადმოდენ.

—სდექ!—გაისმა ბუწკარაშვილის ხმა. დამფრთხალი გვარდიელები შეჩერდენ, ცხენები, ჯორები და ორთვალები გიგოს გომურის თავზე დააყენეს. უკაცოდ დარჩენილმა ოჯახმა ყველაფერი გაიგო, მაგრამ დედა ტუჩზე აფარებდა ბავშვებს ხელს, რომ ხმა არ გამოეღოთ.

ცოტახნის შემდეგ გომური შეტორტმანდა, თითქოს დედამიწა შეინძრა. დედაკაცმა ძლივს მოახწრო შეგივლება, და გვარდიელები თავიანთი მიწეობილობით გომურში ჩაცვივდენ. ბავშვებმა ხმის ამოღებაც ვეღარ მოახწრეს. ისინი გვარდიელების ბინძურმა ფეხმა, ცხენებმა, ჯორებმა და ორთვალებმა გაჭყლიტა.

ზემოთ დარჩენილი რამდენიმე გვარდიელი თავბრუდახვეული გაჭკიოდა:

—წითლებს მახე დაუგიათ, მახე დაუგიათ! ბუწკარაშვილიც გომურშია ჩავარდნილი და მაღლა ამოსვლას ვეღარ ახერხებს.

შეშინებულმა ქათმებმა კრიახი ატეხეს.

...და, აჯა, მოვიდენ წითლებიც. ბუწკარაშვილს თვითონ ფარნიევმა მოჰკვეთა თავი.

შეშინებულმა გვარდიელებმა იარაღი ძირს დაეარეს და ყველანი ერთხმად გაიძახოდენ:

—ჩვენ შინ გვინდა წასვლა, შიმშილით ვიხოცებით.

განადგურდა ბუწკარაშვილი, განადგურდა გიგო ფსუტურის ოჯახიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგო დილით მივიდა დაქცეულ ოჯახთან. იქ დასობილი იყო წითელი დროშა, ქარი ლამაზად არხევდა მის წითელ ფრთებს: გაცეცხლებული და თვალამღვრეული გიგო ბუწკარაშვილს მივარდა, მკვდარს გლეჯს, ლუკმა-ლუკმად უნდა აქციოს.

—ამ ძაღლებმა ძაღლური ცხოვრებაც აღარ დაგვაცადეს! ვითომ რითვინაო? რითვინაო? ჩემმა ცოლშვილმა ვის რა დაუშავა?—შეშლილივით გაჰკიოდა გიგო ფსუტური.

ტირიფონა არხევით დაიძახელა

ქართლში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა... გორში დააარსეს რევკომი.

დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. საბჭოთა ხელისუფლების დროსაც ტირიფონელებმა გლეხებმა დაიწყეს გომურებიდან ამოსვლა. ახლა ტირიფონაზე ერთი გომურიც კი აღარ არის. წინათ თუ სობისელ ბავშვებს მიწისზემოთ აშენებული სახლი ვერ წარმოედგინათ, ახლა ტირიფონელმა ათი-ხუთმეტი წლის ბავშვებმა გომურის სახელი აღარ იციან. აღარც ის ახსოვთ, უწინ, საფხულობით რომ აქაური გლეხები უწყლობით იხოცებოდენ. ახლა ტირიფონის ხრიოკი ველები არხებით არის დაქსელილი, ეოველი მოსახლის კარზე ლიახვის წყალი მოჩუჩუნებს და ამ წყალში ბანაობენ ნიკასოდენა ლოკაწითელი, სიცოცხლით სავსე ბიჭუნები და გოგონები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

არნო ონელი

იყო, არა იყო რა,
იყო ერთი მელია,
კბილი ჰქონდა ალმასივით,
კუდი გრძელზე გრძელია.
ერთხელ, როცა ჩამოთოვა,
სარჩო გამოელია,
დაირბინა მან ამაოდ
ირგვლივ მინდორ-ველია;
საწუწკარი ვერსად ჰპოვა,
კუჭი ძალზე აეწვა,
და იქ, სადაც სოფელია,
ერთ საქათმეს დაეცა.
ჭრელ ყვინჩილას კბილი გაჰკრა,
გამოლადრა ყელია...
ერთი ღამე, ორი, სამი...
გათამამდა მელია!
შიში ჰქონდეს? მორიდება?
ან რა გასამხელია!
ვერ ხვდებოდა — ნაქურდალი
ლუკმის ჭამა ძნელია.
ერთი ღამე, ორი, სამი...
გათამამდა მელია.
გულმოსულმა ძია ნიკომ
გადაიცვა ფარაჯა,
თოფით ხელში საქათმესთან
მელას დაუდარაჯა.
დიდხანს, დიდხანს ულოდინა,
მაგრამ მელა არა ჩანს...
აუტანელ ყინვა-სუსხით
ძიას ცხვირი ეწვება,
ფიქრობს: „ნუთუ აღარ მოვა
მელა ძვირფასბეწვება?“

როგორც იქნა, მოცუნცულდა
საქათმესთან მელია,
იქით-აქით იყურება,
არც თუ ჭკუათხელია.
წამდაუწუმ ყურებს ცქვეტავს,
ნაბიჯი აქვს ნელია,
თვალებს ისე აბრიალებს,
ისე მარჯვედ, ფაქიზად,
იტყვი: მართლაც ოსტატია
ამ უცნაურ საქმისა.
ხანდახან ცხვირს მაღლა ასწევს,
სუნით იკვლევს ფათერაკს,
ჯერ ფანჯარას, მერე კარებს
თვალები მიაშტერა
და საქათმის ვიწრო ხვრელთან
ნაბიჯი შეაჩერა.
შეჰყო თავი... კიდევ წამი —
სწვდება კიდეც ვარიას,
საქათმეში დაგუბდება
სისხლის ნიაღვარია,
მაგრამ განა ძია ნიკო
ძილი და სიზმარია?
დაიქუხა ნიკოს თოფმა,
ისემც გაგიხარია,
ფეხზე დადგა სოფელი და
მთელი ეზო კარია!
ჩააშხამეს ქურდ-ბაცაცას,
რაც რომ მოუპარია!
„იყო, არა იყო რა“ —
ბევრი რამის მთქმელია...
იყო... მაგრამ აღარ არის
უბედური მელია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლავდია დევდარიანი

პატარა მეოცნებე

დამთავრდა ზეიმი.

მხიარული და ბედნიერი ხალხი ბრუნდება შინ.

დაიშალა მწყობრი რიგები. აქა-იქ კვლავ გაისმის მუსიკის მხიარული ჰანგები...

სიცილი... სიცილი ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვებისა.

აგერ პატარა ოქტომბრელები. მხიარული კისკისით ბრუნდებიან. მათი ყურადღება ჰაეროპლანების გუგუნმა მიიპყრო.

— შეხედეთ, შეხედეთ, აი რა მაღლა ასულა! ჩიტის ოდენა მოჩანს! — უთითებს ერთი მათგანი ზევით დანარჩენებს.

— აი ეს რა ძირს დავიდა, წარწერასაც კი ვხედავ! — იძახის მეორე.

— იხედებიან კიდევაც, იხედებიან! — მხიარულად წამოიძახა პატარა იაშამ.

— მე რომ გავიზრდები, პილოტი უნდა გამოვიდე, როგორც დორონინია.

— მე კიდევ ისეთი, როგორიც ვოროშილოვია.

— ნუ ხმაურობთ, გაჩუმდით, ბელადები გვიცქერენ!

ამ სიტყვებით ცისფერთვალა გოგონამ ბავშვებს მუჯლუგუნი წაჰკრა. ბავშვები დაჩუმდენ და ბელადებს. დაუწყეს თვალიერება.

— ლენინა, ვინ არის ის, სტალინის გვერდით? — ჩურჩულით შეეკითხა პატარა იაშა.

— ერთი ამას დამიხედე! ვოროშილოვია, განა არ იცი? ვოროშილოვისთანა კი გინდა გახდე!

— ჯერ არ მინახავს, იმიტომაც არ ვიცი.

შეურაცხყოფილმა იაშამ გვერდზე დაიწყო ყურება.

— ლენინა, სტალინი გეძახის!

ლენინამ თავისი ფართო ჭკვიანური თვალები ბელადს მიაპყრო, რომელიც მას ხელს უქნევდა.

— ნუთუ მე მეძახის? — წაიჩურჩულა ბავშვმა და გაოცებული თვალები მოავლო ამხანაგებს.

— შენ გეძახის, შენ, — ჩუმად გადასძახეს აქეთ-იქიდან ამხანაგებმა.

სტალინი კი იდგა, იღიმებოდა, კვლავ ეძახ და პატარას.

ლენინა სწრაფად მოწყდა ადგილიდან.

აი, დგას იგი ბელადის წინ კმაყოფილი, ბედნიერი, სიხარულით თვალები გაფართოებია, ხელებს უხერხულად იქით-აქეთ აქნევს, ცალ ფეხზე შემდგარი ოდნავ ქანაობს.

— რა გქვია, პატარავ? — თითქოს სიზმარში ჩაესმა ლენინას ეს ხმა. ბელადის ხელმა, რომელიც მის ოქროსფერ წინგადმოყრილ ნაწნავებს შეეხო, ბავშვი გამოარკვია.

— მე? ლენინა.

— მშვენიერი სახელია, სად იყავი?

— ზეიმზე! — მხიარულად განაცხადა და სიცოცხლითა და სიხარულით სავსე თვალები მიაპყრო ბელადის მომღიმარ სახეს.

— ვინ არის ის? — ამ სიტყვებით ბელადმა ხელი ბუდიონისაკენ გაიშვირა.

— ის? ბუდიონია.

— აი ისა?

— მოლოტოვი.

— შენ ყველა გცოდნია.

— დედამ მასწავლა, მან ყველაფერი იცის.

— ახლა სად მიხვალ?

— შინ.

— მერე, მარტო შეგიძლია წასვლა?

— როგორ არა, მე უკვე დიდი ვარ, სკოლაშიც მარტო დავდივარ.

ამ სიტყვებით ლენინამ მხრები მაღლა ასწია, თითქოს უნდა ყველას აჩვენოს თავისი სიდიდე.

— მე დეიდასთან გავივლი, ფულს გამოვართმევ, მოედანზე ტრამვაიში ჩავჯდები, ტრამვაი ჩვენს სახლთან ახლოს ჩერდება.

— რამდენი გჭირდება ფული?

— ორი შაური.

ბელადმა ჯიბეები მოიჩხრიკა და ღიმილით მიმართა ვოროშილოვს:

— ორი შაური გექნება, მიეცი პატარას.

ვოროშილოვმა გაიღიმა და ლენინას ქალაქის ფული გაუწოდა.

— მარტო იყავი ზეიმზე?

— არა, მე ოქტომბრელი ვარ, მწკრივში ვიდექი, წითელი დროშა მეჭირა.

— იცი, რა ზეიმია დღეს?

— როგორ არ ვიცი, დიდი ოქტომბრის ზეიმია.

— შენ ყოჩაღი გოგო ხარ, ლენინა, მეგობრები ვიყოთ.

ლენინას სახე სიხარულმა გაუბრწყინა, მან თავისი პატარა ხელი გაუწოდა ბელადის ძლიერ ხელს და მაგრად ჩამოართვა..

*
* *

მიქრის შინისკენ ტრამვაით ლენინა. ვერ ისვენებს: ის ხომ სტალინის პატარა მეგობარია! უნდა ქვეყანამ გაიგოს ეს ამბავი, უნდა ჩქარა მივიდეს და დედას ახაროს!

— როგორ ნელა მიდის ეს ტრამვაი! — მოპირდაპირე სკამზე მჯდომი ქალი ღიმილით დააცქერდა ბავშვის სიხარულითა და სიცივით ავარდისფერებულ ლოყებს და უთხრა.

— სულაც არ მიდის ნელა. რა გეჩქარება ასე, პატარა?

ლენინას შერცხვა, თავისი ფიქრები რომ ასე ხმამაღლა გამოამჟღავნა. უცნობს გაუღიმა, ისევ ბედნიერი წუთების მოგონებას დაუბრუნდა...

ლენინამ ორივე ხელი ჰკრა კარს და ოთახში ისეთი სისწრაფით შევარდა, რომ დედა, რომელიც გაზეთს ათვალიერებდა, შეშინებული წამოხტა.

— დედა, დედიკო! — ამ სიტყვებით — ლენინა დედას კისერზე ჩამოეკიდა. — დედიკო, ჩემო კარგო დედიკო! რა მადლობელი ვარ შენი, ასეთი კარგი სახელი რომ დამარქვი! სტალინმა თქვა მშვენიერი სახელიაო.

— მოიცა, ქალო, გამაგებინე, რაშია საქმე?

ლენინამ დედის კისერს ხელი უშვა, პალტოს ფოლაქებს იხსნიდა და თან უცნაურად ცმუკავდა

— მე სტალინთან მივედი, ვესაუბრე. მან ტრამვაისათვის ფული მომცა. არა, არა, იმას კი არ მოუცია, ვოროშილოვს სთხოვა. იცი, დედა, არც მე მქონდა ფული და არც სტალინს. კიდევ მან მითხრა, რომ ჩვენ მეგობრები ვიქნებითო! — სეტყვასავით აყრიდა სიხარულისაგან აღელვებული ლენინა დედას სიტყვებს. დედამ ყურზე ხელები აიფარა და თან ღიმილით მისჩერებოდა თავის გოგონას.

— დაწყნარდი, დალაგებით მიამბე, თორემ ვერაფერი გავიგე.

— ჰო, დედა, მაშ თავიდან გიამბობ. ჩვენ ვსაუბრობდით, მე სტალინმა დამიძახა. დედა, დედა, მოიცა, რაღაცა უნდა გკითხო! — ლენინა დედას მუხლებზე შეახტა. — დედიკო, სტალინიც იყო ოქტომბრელი?

— ლენინა, რა უცნაური ხარ! განა არ იცი, მეფის დროს ოქტომბრელები რომ არ იყვნენ?

— უ, ეს რა სისულელე ვიკითხე! — ღიმილით დედას კისერზე მოეხვია ლენინა. — დედიკო, ყური მიგდე, მე ხომ ყველაფერი არ მიამბნია სტალინზე. მაგრამ, იცი, დედა, ახლა გამიშვი, ბავშვებს ვუამბობ, შენ კი მერე გიამბობ!

ბავშვმა თავი გაითავისუფლა დედის მკლავებიდან და გარეთ შურდულივით გავარდა. დედამ ღიმილით გააყოლა თვალი თავის პატარას და თავისთვის წაილაპარაკა:

— ჩემი გოგონა სულ აუტაცნია სიხარულს!

ტერეფანში კი გაისმოდა ლენინას მხიარული ძახილი:

— კატუშა, იაშა, ვარია, იურა, გამოდით, ჩქარა გამოდით, გიამბოთ, როგორ გავიცანი სტალინი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერები ყრილობაზე

სცენიდან დიდი ბელადის ამხ. სტალინის ჰორტრეტი ულიმის საქართველოს კომკავშირის მეთორმეტე ყრილობის დელეგატებს. ყველას სახეზე ღიმილია, წითელი ლამაზი ჰლაკატებით აფერადებული კედლებიც კი იღიმება.

ბედნიერი ქვეყნის ღირსეულ შვილებს დაუმშვენებია დარბაზი. აი ორდენოსანი კომკავშირელი ტრაქტორისტი ლ. რუსიშვილი დელეგატებს სტალინთან შეხვედრას უამბობს. სტახანოველი აკ. კუბლაშვილი თავის წარმატებებზე საუბრობს. აქვეა სულ ახალგაზრდა სტახანოველი ირინა ბრეგვაძე, ოსტატმა კარგი მუშაობისათვის „ჰატარა ჩაპაევი“, რომ დაარქვა.

აი მფრინავი გოგონები ფადიკოგოგიტიძე და რუსუდან ჟორდანია, შევარდნებივით რომ დაქრიან ჰაერში...

კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი კომკავშირელი მოსულა ყრილობაზე და გულით უსაზღვრო სიხარული მოუტანია.

ოქტომბრელი ნათელა სვანიძე, რომელმაც ყრილობისათვის დაამზადა საჩუქრად „გაზაფხული“.

ლამაზია დარბაზი, მაგრამ არა ნაკლებ ლამაზია ფოიე. კოსტად აღმართული საჰარაშუტო კოშკი, გემების, ტრამვაების, თვითმფრინავების, საბავშვო რკინიგზის მოდელები და სხვა ბევრი, ძალიან ბევრი საჩუქარი ამშვენებს მას. მათგან ოქტომბრელების ჰატარა ხელებისაგან ცოტა რამ როდია დამზადებული. ხალისით და სიყვარულით აკეთებდენ ისინი ყველა ამათ. მთელი თავისი უნარი უნდოდათ გამოეჩინათ, თავიანთ აღმზრდელ კომკავშირისათვის კარგი რამ მიეძღვნათ, ამიტომაც ასე ლამაზია მათ მიერ დამზადებული საჩუქრები.

უკვე გაიხსნა ყრილობა... მოხსენებები, კამათი, მისალმებები... აი დარბაზი წითელყელსახვევიანი ბიჭებით და გოგონებით გაივსო. ტფილისის ჰიონერები მოვიდენ მისალმებისათვის. სცენაზე გოგონა გამოჩნდა, ის ყველაზე ჰატარაა, მაგრამ მისი ხმა ფარავს დარბაზს.

გოგონას თვალები უელვარებს... მის სიტყვებს ჰიონერთა და ოქტომბრელთა მწყობრი რიგები იტაცებენ და ძლიერი ვაშას ძახილით ამთავრებენ.

„ჩვენ ეოველ წუთს ვგრძნობთ დიდი ბელადის მზრუნველობას“.

„მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი, მხიარული და საამური ცხოვრებისათვის“— ერთხმად გაიძახიან ჰიონერები.

შალამბერიძე III კლ. | ც. რაზმაძე II კლ. | შ. თოფურია II კლ. | რ. ბარკალაია II კლ. | ლ. ბაკურაძე IV კლ. | რ. ტატიშვილი III კლ. | ტარბახსოლიანი I კლ.

როდესაც ჰიონერები დარბაზიდან გადიან, დელეგატების ტაში და ვაშა აცილებს მათ.

ერილობა 16 თებერვალს დაიხურა. ამხ. გიორგობიანმა, ამხ. მგელაძემ და ამხ. დგებუაძემ თავიანთ მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმეს ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საკითხებს.

რით შეასრულებენ ოქტომბრელები ერილობის დადგენილებებს?

ისწავლიან ფრიადზე და დაამშვენებენ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილთა რიგებს.

დარია ახვლედიანი

ზამთარი

ზამთარია, მიყვარს სკოლა
და იქ სიარული,
სიმღერა და ვარჯიშობა,
ცეკვა მხიარული.
მიყვარს, რომ მასწავლებელი
გვიხსნის ანაბანას,
მოგვიყვება ახალ ამბებს,
ახალ ამოცანას...
ზამთრის მიყვარს დიდი თოვლი,
რომ დაწვება თეთრად,
ჩემი ციგით მე და კატო
ვისრიალებთ ერთად!
როს დაფარავს თოვლის ფიფქი
აქ ხეებს, იქ სერებს,—
ეს სურათი მომაგონებს
ჩემ ბაბუას წვერებს.
და თუ კარგად დაგვითოვა
ქუჩები და ეზო,—
ნახეთ, როგორ ვიგუნდავებთ
მე, ვაჟა და რეზო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე გაგაშვილი

ძველი ამბავი

(გაგრძელება) [1])

ნიკოია მალე გაეჩვია ხელზე სამსახურს, მეტადრე ჩვენი ბებერი მზარეული ივანიკა იყო იმის მადლიერი: აზიდვინებდა სარდაფიდან შეშას, წყალს ჭიდან, გზავნიდა წვრილმანისათვის ბაზარში საყიდლად, ანაყვინებდა, არჩევინებდა ბრინჯს და თავში ჩაფაჩუნებით ეტყოდა ხოლმე: „კაი ბიჭი ხარ, ჩემო ძამია, მაგრამ ერთხელ მაინც გაიცინე, გაიხარე, ხომ ხედავ, რა მშვენიერ ქალაქში ხარ, რა ამხანაგობას გიწევენ პატარა ბატონები, როგორ გეფერებიან, მზარეულის „პოპოშნიკი“ ქვე გახდი და მალე სწავლულიც შეიქნები! შე კაცო, რაღას ჩამოგიყრია ყურები“.

ჩვენც, ბავშვები, მართლა რაც შეგვეძლო ვეფერებოდით, ვუამბობდით სკოლის ამბებს, ვუჩვენებდით სურათებს, მოვუყვებოდით გაგონილ ზღაპრებს, მაგრამ ნიკოიას სახეზე ღიმილი ვერასგზით ვერ გამოვიწვიეთ.

ბებიაც კი, რომელსაც არ უყვარდა ბავშვების გათამამება, ხელს გადაუსვამდა ხოლმე კულულ თმებზე და ეტყოდა: „ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, კარგად ირჯები, ყველაფერი გეხერხება“. მე მეგონა გაიცინებდა, მაგრამ ყოველივე ჩვენი ცდა ტყუილად იხარჯებოდა, იმის შეხედულებას სევდა არ შორდებოდა.

რაც შეეხება სწავლის დაწყებას, ჯერჯერობით ამაზე არავინ ზრუნავდა, მით უფრო, რომ იმის ჩამოსვლის შემდეგ მალე დადგა ყველიერის კვირა, და მთელი ქალაქი სულ შეიცვალა. ხალხი სულ გადაირია. ყველიერისათვის სამზადისმა მთლად დაავიწყებინა ყველას ყველაფერი და მარტო საყველიერო საზრუნველმა და დროს გატარებამ გაიტაცა ადამიანები.

გორის მესამე არასრული საშუალო სკოლის ოქტომბრელთა ჯგუფი.

[1]) დასაწყისი იხილეთ ჟურ. „ოქტომბრელის“ №1.

იმ წელს ყველიერი ძლიერ დაგვიანებით დაიწყო. თითქმის მარტის ნახევარი იყო. გარშემო კარზე მომდგარი გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. აქა-იქ ფერდობებში ამწვანდა, მშვენიერი დარები იდგა, და ხალხი უფრო ამის გამოლხინსა და გართობას ერთიორად აზვიადებდა. ყოველ ოჯახში ცხვებოდა ქადა, ნაზუქი, ხაჭაპურები... ბლინები ყველგან ყველაფერზე მეტი მზადდებოდა. სტუმარ-მასპინძლობა გახშირდა, ვინც მეტს ბლინს მიართმევდა და ვინც მეტ ბლინს შეყლაპავდა, დიდი საკვეხარი ის იყო და გმირობასაც ის გამოიჩენდა.

მეტადრე უკანასკნელი ორი-სამი დღე ყველიერის კვირისა, როდესაც სკოლებიდან ბავშვები დაითხოვეს, კანცელარიებიდან ჩინოვნიკები გამოვიდენ, სახელოსნოები დაიკეტა, ქარხნებში შეჩერდა მუშაობა და ეს ამოდენა ზღვა ხალხი ჩაერია საერთო ქეიფში, ქალაქს ვიღა იცნობდა, ბულვარები სავსე იყო მორთულ-მოკაზმული ხალხით. მოედნებზე „კაჩაიები“ ჭრიალებდენ, „კარუსელიების“ მუსიკა და ბარაბანი ყურს აყრუებდა. ბერიკები, პირზე აფარებული სხვადასხვა პირუტყვისა და მაიმუნების ნიღაბით ქუჩებში გადარბოდენ, ხტოდენ, ოხუნჯობდენ, ხარხარებდენ. შუა ბაზარი, სამიკიტნოები, ხილის დუქნები სავსე იყო სანოვაგით, და მედუქნეებიც საყველიეროდ მომზადებულნი ყვიროდენ, ყიჟინით იწვევდენ მყიდველთ, აქებდენ თავიანთ სავაჭროს:

— აქეთ, აქეთ, მყიდველებო, აქეთ, ნახეთ, რა კამფეტი, ქიშმიშ-ლაბლაბი, ლიმონათი, ტკბილი სასმელებია!

ბავშვები, მოზარდნი და მდაბიო ხალხნი ბუზებივით ეხვევნენ ყველაფერს და საერთო სიცილს, ჟინს, მიხლა-მოხლას ერთგვარი შეუკავებელი გადარევა ახასიათებდა.

საღამოობითაც არ იყო მოსვენება: თეატრები, მასკარადები, კლუბები, საცეკვაო საღამოები სავსე იყო აღტაცებული ხალხით.

ეტლები, კალიასკები, დროშკები გიჟებივით დააჭენებდენ მოქეიფე, დარდიმანდ ბიჭებს, ახალგაზრდებს. ქალაქგარეთა უბნებიც თავისებურად დინჯად, მაგრამ მაინც ქეიფობდენ: დაირა და დიპლიპიტო თითქმის ყოველი ეზოდან გაისმოდა, საქანელები ხომ აუარებელ წვრილფეხობას იზიდავდა, და იყო ერთი გაუთავებელი ბედნიერ ხივილი. თითქო ხალხს რაღაც უჩვეულო დროგატარება მოსდებოდა, სიგიჟემდის მიღწეული.

* *
*

ჩვენი პატარა ოჯახი სხვებს არ ჩამორჩენია. ივანიკა მხარეული დილიდან ბლინებს ამზადებდა, ურევდა ცომის სითხეს, ცდილობდა ცომი საკმაოდ გაფუებულიყო, რომ იმის გამომცხვარი ბლინები ყველას ბლინებზე უკეთესი ყოფილიყო მთელ ქალაქში. ყველა მათი მეჰამელი აღტაცებული ქებით გამოიხმობდა ივანიკა არტისტს, რომ იმას საუკეთესოდ აესრულებია სხვებთან შეჯიბრება, რომ ყველას გაეგო, ყველასათვის ნათელი ყოფილიყო მისი ცდა და მოხერხება.

კვირადღეს, ამ ყველიერის უკანასკნელ გადარევის დღეს, თითქმის დაბინდების დროს დავსხედით ჩვენი სტუმრებით სუფრაზე. ჩვენი პატარა ლაქია ნიკოია, გამოჭიმული ჩოხა-ახალუხში, ქამარ-ხანჯლით, გაწყობილი ბლუდებით, ცხელ-ცხელი ბლინებით შერბოდ-გარბოდა. მაგრამ რაღაც უჩვეულო ნერვიულობა კი ეტყობოდა, იგრიხებოდა, სახე ელრიჯებოდა, მალმალე იხედებოდა კედლის დიდ სარკეში, თავზე ხელებს ისვამდა, თითქო ქალაქურად გაკრეჭილი თავი ეჩოთირებოდა. მე გაოცებული შევყურებდი; ჩვეულებრივი თავჩაღუნვის მაგივრად, კისერს იგრძელებდა, თითქო რაღაცას ელოდა, ეძებდა, ათვალიერებდა... უცებ საშინელი ხმით დასჭყივლა, დატრიალდა, თითქოს სარკეში რაღაცა მოეჩვენაო, და სასტუმრო ოთახში გავარდა.

ჩვენ მაშინვე ავიშალენით სუფრიდან და მივაშურეთ იმ ოთახს, საიდანაც უცნაური ხმაურობა გამოდიოდა, და ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დავინახეთ ოთახში შემოსული სამი თუ ოთხი შავნიღაბაფარებული მოზარდი, თავით ფეხებამდის შავებით შებურვილნი, რომელთაც ნიკოია ცოფიანი ძაღლივით მივარდნოდა და ებრძოდა, ტანისამოსს აგლეჯდა და თან კიოდა:

— შორს ჩემგან, კუდიანებო, ეშმაკებო, წყეულებო! სამას სამოცდასამმა წმ. გიორგიმ დაგცეთ თავს ლახვარი! ფუ, ეშმაკებს! — და თან პირჯვარს იწერდა და ტუჩებზე დორბლები გადასდიოდა. სტუმრები ჯერ იცინოდენ, ებღლაძუნებოდენ, მაგრამ მალე შეატყვეს შეხედულე-

ბაზე, რომ შეშინებული იყო, და ნიღბები მოიხსნეს, მაგრამ გაცოფებული ბიჭი ვერ მოიშორეს.

რასაკვირველია, ჩვენ ყველანი ჩავერიეთ, დავძლიეთ, შევიკავეთ და ძლივძლივობით მოვაცილეთ ბიჭი, რომელიც ბრძოლით დაღალულ-დაქანცული კედელს მიეყრდნო, თვალები დახუჭა, ნელა, უგონოდ იატაკზე დაეცა და მთლად გაიჭიმა, გაშეშდა.

* *
*

ჩვენ გვეგონა მოკვდაო და საშინელი წივილ-კივილი შეგვექნა. ბებიამ ძმარი მოარბენინა, სხვამ წყალი ასხურა, ზოგმა ყურები აუწია, შეეტბერა, ვილაცამ ექიმიც კი მოიხმო.

ჩვენ ყველანი ოთახიდან გამოგვრეკეს. ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და საბანი მოითხოვა, გადააფარა ბავშვს, ლამფას დაუწია და მერე ჩვენთან გამოვიდა და გვითხრა:

— ნუ გეშინიათ, ყმაწვილებო, ბიჭის მდგომარეობა საშიში არ არის, მხოლოდ სრული სიჩუმე და მოსვენებაა იმისათვის საჭირო, საყველიერო უზომო ხმაურობამ ბევრი ასეთი ნერვების ამშლელი ოინი იცის და გირჩევთ, ყმაწვილებო, დაწყნარდეთ და თქვენს საქმეებს შეუდგეთ.

(დასასრული იქნება)

ნინო ტყეშელაშვილი

მაშკა

— ღრუტ, ღრუტ, ღრუტ,—მოდის მაშკა კუდის ქნევით.

მას უკან მოსდევს ჭუტუნ-ჭუტუნით თეთრი, ფუნთუშა 12 გოჭი. ემუდარებიან დედას, ძუძუ უნდათ. ერთი წინ გადაუდგა, დინგზე აკოცა, შეეხვეწა გაჩერდიო.

მაშკამ დინგი ჰკრა, თავუკუღმა გადაატრიალა. გოჭი ძლივს წამოდგა და უკან გაჰყვა დანარჩენ დებსა და ძმებს.

— ჰაიტ! წინ არ შემეჩეხოთ, ჯერ თვითონ მინდა ვჭამო და მერე თქვენ ჭამეთ!

რამდენი ხანია სახლის წინ ბარგია გამოლაგებული.

— ესეც კარგია,—თქვა მაშკამ,—ჩემი დიასახლისი სახლს ალაგებს, მეც დავეხმარები,—და ტაშტს მიუახლოვდა. ტაშტი წვენით და ბურის ნატეხებით იყო სავსე.

— ჩემთვის მოუმზადებიათ,—იფიქრა, ჩაეო შიგ დინგი და დაუწყო თლაფუნით ჭამა. გოჭები კი ამ დროს ფეხისფრჩხილებზე დგებოდენ. ძუძუებზე ეკიდებოდენ. მაშკა უკანა ფეხს გამოჰკრავდა ხოლმე და გოჭებს იშორებდა. ჭამა რომ გაათავა, ტაშტს დინგი აჰკრა, გადააბრუნა, გოჭები ამას მიუსია, თვითონ კი წინ გასწია და რაც შეხვდა, ყველაფერი გადაატრიალა. ბოლოს

ერთი ვედრო წყალი წააქცია. ტლაპო დადგა და შიგ ჩაწვა.

— ჰეი, რას შვრები, მთლად ტალახი დააყენე!—შეუტია მურიკამ.

— შენი რა საქმეა?—უპასუხა მაშკამ,—მე იმას ვაკეთებ, რაც მესიამოვნება და გამასუქებს, ეს ჰატრონისათვისაც სასარგებლოა!

მერე მაშკა ტალახში გადაკოტრიალდა, ისევ წამოდგა, ტანი შეიბერტყა. ერთი წვეთი ტალახი ციცუნიას მოხვდა.

— ჰეი, შენ, ღიჭიანო ბურჟუა!—შეუტია ციცუნიამ,—გინდა შენი ტალახით მეც დამსვარო?!

— უკაცრავად, ქალბატონო! ეს ტალახი მოჩანს, შეგიძლია მოერიდო, მაგრამ შენ რომ ლაქუცობითა და ცბიერობით ხალხს ატუეებ და ეველაფერით სარგებლობ, ეს არაფერია? მოიცადე, თორემ ერთს შენც ამოგკრავ და ღობის გადაღმა გადაგიმახებ!

ამ სიტყვების შემდეგ მაშკა ჩრდილში წამოწვა ხვნეშით. გოჭები ისევ ჭუტუნ-ჭუტუნით მისცვივდენ მას, დაუწყეს მუძუების ძიებნა. ერთიმეორეს ეცილებიან. მერე დამშვიდდენ და გულმოდგინედ დაიწყეს წოვა. ამ დროს დიასახლისი ოთახიდან გამოვიდა.

— უი, თვალი დამიდგეს, ვის აუოხრებია აქაურობა?! აი შე სამგლე, შენა!

მაშკას თუნდაც ბუზიც არ აფრენოდეს, ყურადღებაც არ მიუქცევია.

მაშკას რა ენადვლება, თვითონ გაძღა და ახლა შვილებსაც ბლომად აძლევს რძეს, სიამოვნებითა და სიხარულით ნანინას დაღრუტუნებს მათ...

●●●

გ. ძუჩიშვილი

ნოდარი, ცოცია და ცუდ

დახეთ ნოდარს,—ფანქრით ხელში
მიჯდომია მაგიდასა;
მობჯენია ცრემლი ყელში
და რვეულის კბილავს ედასა,
მაგრამ ვერ გამოაპარა
ეს ამბავი თავის დასა,
ჰკითხა: „ნოდარ, რას აკეთებ,
ვინ შენა და ვინ მოწყენა?“

„იცი, დაო,“—მან სლუკუნით
გაუმჟღავნა გულისტკენა,—
„განცხადება შევადგინე,
შემისწორო უნდა შენა“.

„აბა, აბა, წამიკითხე,
რა დაწერე, ვისთვის გინდა?“
„გაზეთისთვის... იქ ხომ ბეჭდენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკარგეთო... და შეც მინდა
განვაცხადო აი, ასე:

> გუშინ, დილით, ჩვენს ბინიდან
> დაიკარგა ჩვენი ცუგა,
> წაბლისფერი ქურქი ჰქონია,
> გარეგნობა მელას უგავს,
> ვინც მიპოვნის, გადავკოცნი,
> არ დავსოგავ არც სიჩუქარს.

წაიკითხა, გაახსენდა
ცუგას ქცევა, კუდის ქნევა,
გასტაცა და გამისტაცა,
ეურთა ცქვეტა, ეფეა, რსევა,
და ატირდა... დაც მას აპევა,
აგულჩვილდა,
აქვითინდა,
და მეორე ოთახიდან
უცებ დედა შემოფრინდა.
გამოჰკითხა ეოფელიეე,
თვალნი კოცნით მოუწმინდა
და ცუგასაც გიპოვნითო,—
ორივ ასე დაამშვიდა.

სერგო კლდიაშვილი

სიზმარა

(ციალა ტულუშს)

ცხოვრობდა ერთ სოფელში კაცი, სახელად სიზმარა. ასე იმიტომ ეძახდენ, რომ ყოველ ღამით საკვირველ სიზმარს ხედავდა.

მეზობლებს უყვარდათ მისი მოსმენა. მუდამ

ისეთ რაიმეს გაიგონებდენ, რაც გულს გაუხარებდათ.

— ნეტავი ყველაფერი ეგ ასრულდებოდეს! — ამბობდენ ისინი.

სიზმარას სახელი შორს იყო განთქმული და მის ნახვას მრავალი ნატრულობდა.

იმ დროს მთელი სოფელი ბატონისა იყო. მიწასაც ის ფლობდა და წყალსაც. თვითონ ბატონი არაფერს აკეთებდა. თუ არ ეძინა — ჭამდა, და თუ არ ჭამდა — ეძინა.

გაიგო ამ ბატონმა, რომ სოფელში სიზმარა ცხოვრობს. უხმო და უბრძანა:

— მოჯამაგირედ დამიდეგ და ყოველ დილით შენი სიზმარი მიამბეო.

შეწუხდა სიზმარა, მაგრამ ბატონის რისხვას მოერიდა, უარი ვერ უთხრა და მოჯამაგირედ დაუდგა.

ბატონმა ერთ დილას ჰკითხა:

— აბა, თქვი, წუხელ რა ნახეო?

— მეშინია, გამირისხდებიო, — უთხრა სიზმარამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაც უნდა იყოს, არ გაგირისხდებიო, — დაიმედა ბატონმა. მაშინ სიზმარამ უამბო:

— წუხელ სიზმარი ვნახე — შენი კარ-მიდამო და სიმდიდრე ჩემი და ჩემი მეზობლებისა იყო. შენ კი მხოლოდ ერთი ჩოჩორი გყავდა, ერთად დადიოდით და ყროყინობდითო.

გარისხდა ამაზე ბატონი.

— როგორ გაბედე ასეთი სიზმრის ნახვა, ალბათ სიცხადეში ფიქრობდი და ძილშიაც იმიტომ გელანდებოდაო... თუ ეგ სიზმარი სხვისთვის გიამბნია, თავს მოგკვეთო!

მიუხვდა სიზმარა საწადელს. დღეს იქნებოდა თუ ხვალ — დასჯიდა მრისხანე ბატონი, და ამიტომ თავს უშველა: იმავე ღამეს გაიპარა და სხვა მხარეში მიმავალ გზას დაადგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ მინდორთან მივიდა. ხედავს: მინდორს კაცი ხნავს, მერე ხელს მოუსვამს და რაც ბელტია, ყლაპავს.

გაკვირდა სიზმარა, მიესალმა და ჰკითხა:

— კაცო, მაგას რას შვრები, ბელტის ჭამა ვის გაუგონია!

— მიწის ნაყოფი მაინც არ შემხვდება, ყველაფერს ბატონი წაიღებს, ეს ბელტები მაინც ვჭამოო! — უპასუხა ბელტიყლაპიამ.

— გამომყევ და ბედს ეწევი, — უთხრა სიზმარამ.

დაძმობილდენ და გზას გაუდგენ.

იარეს, იარეს, სამი მთა გადაიარეს და ერთ კაცს შეხვდენ. დაეწაფება ტბას, მოხვრიპავს და უცბად შესვამს. რამდენჯერაც ტბა აივსება, იმდენჯერ შესვამს.

მივიდა სიზმარა და მიესალმა:

— ამდენ წყალს რა გასმევს, რა საკვირველი ვინმე ყოფილხარო!

— ამ ტბის ძირას ნატვრის თვალს ვეძებ. სათხოვარი ბევრი რა მაქვს, თუ ვიპოვე — ბედნიერი ვიქნებიო, — უპასუხა ზღვაყლაპიამ.

— გამომყევ და გაპოვნინებო, — უთხრა სიზმარამ. ისიც გაჰყვა, და სამივენი გაუდგენ გზას.

ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, ერთი ფეხდოლაბა ნახეს. ფეხებზე დოლაბები მიუკრავს, წვრილიანში დარბის და კურდღელს იჭერს.

სიზმარას ძალიან გაუკვირდა:

— ჯერ კურდღლის დაჭერა თქვი და მერე ისიც ფეხებზე დოლაბებმიკრულ კაცისაგანო.

ფეხდოლაბამ თავისი გასაჭირი უამბო:

— ჩემს ბატონს ეშინია არ გავექცე და ეს მძიმე დოლაბები იმიტომ შემაბა. ერთი რომ მქონოდა, კიდევ წავიდოდი, მაგრამ ორივეს დიდხანს ვერ ვზიდავ, დავიღლები, სიარულს ველარ შევიძლებ, მდევრები დამეწევიან და ბატონს მიმგვრიან დასასჯელადო.

სიზმარას და მის მეგობრებს შეეცოდათ და ცალი დოლაბი მოამტვრიეს.

— რადგან ასეთი კარგი საქმე მიყავით, ან მიძმეთ, ან მიყმეთო! — სთხოვა მათ ფეხდოლაბამ.

სიზმარამ ისიც იძმო, და ყველანი გზას გაუდგენ.

იარეს, იარეს და ერთ ადგილას ერთი ცალთვალა შეხვდათ. ხელში ისარი მოეჭარჭვა და შორეულ მთას უმიზნებდა.

— რასა შვრებიო? — ჰკითხა სიზმარამ.

— აი იმ მთაზე დედალ გვრიტს ძერა მისდევს, თუ არ მოვკალი, დაიჭერს და გაგლეჯსო, — უპასუხა შვილდისარამ.

სიზმარამ ესეც იძმო, და გზა განაგრძეს.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთი საკვირველი ვინმე ნახეს: ზურგზე ციხე-გალავანი ეკიდა და მიაბიჯებდა.

სიზმარამ სალამი უთხრა და ამბავი გამოჰკითხა.

— ბატონთან ცხოვრება გამიძნელდა, გამოვექეცი და მისი ციხე-სიმაგრეც წამოვიღეო. როცა მტერს შევამჩნევ, ჩამოვიღებ, შიგ შევალ, რკინის კარს ჩავკეტავ და ველარას მავნებენო, — უამბო ზურგითრევიამ.

სიზმარამ დაძმობილება სთხოვა.

— მაშ ვინც ჩემთან არის, ისიც იძმეთო, — თქვა ზურგითრევიამ, ციხის კარი გააღო და მეგობარი გამოიყვანა.

— შენ ვინა ხარო? — ჰკითხა სიზმარამ.

— ყურმახვილაო, — უპასუხა მან.

— თუ მართლა მახვილი სმენა გაქვს, გაგვიგე, მიწის ქვეშ რა ხდებაო, — სთხოვა ბელტიყლაპიამ.

ყურმახვილამ მიწას ყური დაადვა და გაიცინა.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა ზურგითრევიამ.

— რაო და ჭიანჭველებს ჩხუბი მოსვლიათ და მსაჯულად მე მიძახიანო.

— აბა ახლა გამიგე, ჩემს სოფელში რა ხდებაო? — სთხოვა სიზმარამ.

ყურმახვილამ ისევ დაადვა ყური მიწას და მერე თქვა:

— შენი ბატონი განრისხებულა და რაც რამ გააჩნდათ სოფლელებს, თავისთვის წაუღია. ქალი და კაცი დამხობილა და ტირისო.

— აბა დავბრუნდეთ და ხალხს მივეშველოთო! — უთხრა სიზმარამ ძმობილებს.

იბრუნეს პირი და გზას დაადგენ.

მიდიან, მიიჩქარიან სიზმარა და [illegible] — ფეხდოლაბა, შვილდისარა, ზღვაყლაპია, ყურმახვილა, ზურგითრევია და ბელტიყლაპია. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, ბოლოს სიზმარას სოფელს მიაღწიეს.

მივიდენ, ნახეს — ხალხს ერთ ხრიოკ ველზე თავი მოუყრია, შიმშილისაკან ძალა წართმევია და ტირილის ღონეც აღარა აქვს.

— ნუ გეშინიათ, გიშველითო! — იმედი მისცა მათ სიზმარამ და ბატონს შეუთვალა:

— ხალხი რად შეგიწუხებია, დაუბრუნე, რაც წაგირთმევიაო.

კიდევ უფრო განრისხდა ბატონი, ეს როგორ გამიბედაო, უხმო მოურავებს და დაავალა:

— სიზმარა დაიჭირეთ და ახლავე აქ მომყვარეთო!

მოახტენ ცხენებს მოურავები და გასწიეს. მივიდენ, ხედავენ: მინდორზე ციხე-გალავანი დგას, შიგნით კი სიზმარა და მისი ძმობილები გამაგრებულან.

ეს რომ ბატონმა გაიგო, შიშს მიეცა და სიზმარას შეუთვალა:

— რაც ქვევრებში ღვინო მისხია, თუ მას ასი კაცი დალევს და რაც დღეს ჩემს სახლში პური გამოცხვა, თუ მას ასი კაცი ერთ იჯრაზე შეჭამს, — ხალხს ყველაფერს დავუბრუნებ, თუ არა და თავს დავკრიო.

გაგზავნა სიზმარამ ზღვაყლაპია და ბელტიყლაპია.

რაც გამომცხვარი პური იყო, ბელტიყლაპიამ ხელი მოუსვა და სულ შეჭამა.

— მეტი აღარა გაქვთ? კიდევ მშიანო! — დაიძახა, როცა უკანასკნელი ლუკმა ჩაყლაპა.

ზღვაყლაპია კი ქვევრებს დაეწაფა და სულ მოუთქმელად შესვა, რაც ღვინო იყო. უკანასკნელი ქვევრი რომ შეხვრიპა, დაიძახა:

— ახლა წყალი მომიტანეთ, თორემ ძლიან მწყურიაო!

ბატონი მაინც უარზე იდგა და კიდევ შეუთვალა სიზმარას:

— ერთი ფეხმარდი მყავს, თუ იმას ვინმე გაუსწრებს, ხალხს დავუბრუნებ წართმეულს, თუ არა და ყველას თავს დავკრიო.

სიზმარამ ფეხდოლაბა იხმო და უთხრა:

— აბა, ახლა შენ იმარჯვეო.

ბატონმა თავისი ფეხმარდი ცხრა მთას იქით გაგზავნა ცივი წყლის მოსატანად. ფეხდოლაბა გაჰყვა. როცა უკან ბრუნდებოდენ, გამოასწრო ფეხდოლაბამ, მაგრამ გზაზე შეჩერდა, ჩრდილქვეშ ჩამოჯდა და უცაბედად ჩაიძინა. ამით ისარგებლა ფეხმარდამ და ის იყო ბატონის ეზოს უახლოვდებოდა, როცა ყურმახვილას ფეხდოლაბას ხვრინი მოესმა და შვილდისარას უთხრა:

— ფეხდოლაბას ისარი ესროლე, გააღვიძეო.

შვილდისარამ ისარი გაისროლა, მოარტყა დოლაბს და მოამტვრია. გაეღვიძა ფეხდოლაბას, წამოხტა, გამოიქცა, გაუსწრო ფეხმარდას და წყალი ბატონს ჰისცა.

არც ახლა შეასრულა ბატონმა თავისი სიტყვა. მაშინ სიზმარამ იხმო ზურგითრევია და უთხრა:

— ბატონი არ აპირებს ხალხს წართმეული დაუბრუნოს, მოიკიდე მთელი მისი ავლა-დიდება და წამოიღეო.

წავიდა ზურგითრევია, შეკრა ბაწრებით სასახლე, მარანი, ბეღელი, თავლა, მთელი ავლა-დიდება, მოიკიდა ზურგზე და წამოიღო. ეზოში კიდევ ჩოჩორი შემოხვდა, ფეხში თავი გამოაბა და ისიც ზურგზე შეიგდო.

— ყველაფერი მიგაქვს, მე რაღა ვქნა, დამიტოვე რაიმეო! — მისდევდა და მისძახოდა ბატონი.

ზურგითრევიამ ჩოჩორი გადმოსხა და ბატონს მისცა.

— აჰა, გყავდესო! — ეს უთხრა და გზას გაუდგა.

გაუხარდა ჩოჩორს, ბაწარი რომ შეხსნეს, აკვინტრიშდა და ყროყინი დაიწყო. ბატონი კი იდგა და გაჰყვიროდა:

— ამისრულდა, რაც სიზმარამ მითხრა, რაღა მეშველება მე უბედურსაო!

დაბრუნდა ხალხი სოფელში და ძველი ბატონის მიწაწყალს დაეპატრონა.

სიზმარა და მისი ძმობილებიც აქ დარჩენ და ბედნიერი ცხოვრება იწყეს.

ბატონს ჰირი, ჩვენთვის ლხინი,
მას ნაქვეტო, ჩვენ კი ფქვილი!

სანდრო ულენტი

ზამთარი

უკვე ცივა, ზოგჯერ თეთრად
იფარება მიწა რთვილით...
ემატება დღეებს სუსხი
საღამოს და ეოველ დილით.
საცა არის გაღმა სერებს,
მთებს და ხევებს მალე დათოვს.
განუწყვეტლივ წვიმს და თქორავს,
მზის სხივები აღარ გვათბობს.
უკვე ცივა. ხშირად ცაზე
ვხედავ მარტო ნისლს და ღრუბლებს...
დედი ტახტზე ზის და ართავს
წინდისათვის მატელის ქულებს.
ძაღლი კართან ჩაცუცქულა,
ამიგძიგებს ტანს და კისერს;
თითქოს უნდა ჩემთან იყოს,
მეგობრულად მთხოვს და მიცქერს.
მამაც იქვე დერეფანში
ურმისათვის ხეებს რანდავს.
ქარი ქრის და უსისინებს,
წვიმს ისევ და წვეთებს ფანტავს.
უკვე ცივა. ზამთარია,
წვიმით აღარ გვაძლევს საშველს,
მაგრამ მაინც ეს ამინდი
ვერ გვაშინებს სკოლის ბავშვებს.
საცა არის გაღმა სერებს,
მთებს და ხევებს მალე დათოვს...
განუწყვეტლივ წვიმს და თქორავს,
მზის სხივები აღარ გვათბობს.

ივანე ბომართელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საუბარი ოქტომბრელთან

(გაგრძელება [1])

ზოგჯერ ღრძილები სივდება, წყლულდება, ავადმყოფს პირი უყარს, ღრძილებიდან ჩირქი და სისხლი სდის; კბილები იწყებს ნძრევას, თანდათან დასცვივდება კიდეც.

პირის ღრუს უსუფთაობა ბევრჯერ იწვევს კბილების გაფუჭებას, დროდადრო მწვავე ტკივილებს, პირის სამყრალეს და კბილების ნაადრევად დაცვენას. ოქტომბრელს კი კბილები ბოლოვითა თეთრი უნდა ჰქონდეს, არავითარი ცუდი სუნი პირიდან არ უნდა ამოსდიოდეს; სასურველი, საამო და სასიხარულო სტუმარი უნდა იყოს ყველგან და ყველასათვის.

ახლა შენ თვითონ მითხარი, გივი, რა საამო იქნება ისეთი სტუმარი, რომელსაც პირი უყარს?

ამიტომ დილით პირის დაბანის დროს და ღამით დაწოლის წინ პირი კარგა უნდა გამორეცხო, კბილები და ღრძილები გაიხეხო კბილის საწმენდითა და კბილის ფხვნილით. პირი კარგად უნდა გამოირეცხო აგრეთვე ყოველი იჯრის წინ, იჯრის შემდეგ. იჯრის წინ იმისათვის, რომ ბაქტერიების რიცხვი შეამცირო პირში. შესაძლებელია, როგორმე მოხვდენ პირის ღრუში მავნებელი ბაქტერიები, გამორეცხვით მათ მოიშორებ თავიდან. ცოტაოდენი კიდეც რომ დარჩეს შიგ და საჭმელთან ერთად ჩავიდეს კუჭში, მაინც ვერას დაგაკლებენ: ცოტაოდენს კუჭი მოერევა და მოუგრეხს კისერს. იჯრის შემდეგ კი იმიტომ არის პირის გამორეცხა საჭირო, რომ საჭმელის ნაწილაკები და პურის ნამცეცები მოიშორო. დარჩენილი ნაწილები მალე იხრწნება, ლპება და იწვევს პირის ღრუს, ღრძილებისა და კბილების დასნეულებას.

აბა, მაჩვენე, გივი, შენი კბილები. ყოჩაღ, ყოჩაღ! ხელები სუფთა გაქვს და ფრჩხილები არ არის ამოშავებული ჭუჭყისაგან.

შენ, ჩემო გივი, მოძრაობ, დარბიხარ, ყველაფერს ხელს ჰკიდებ, და ამის გამო ხელები განსაკუთრებით გესვრება. ამიტომ ხელებს ხშირად უნდა საპნით დაბანა: დილით, დაწოლისას, ყოველი ვარჯიშობის შემდეგ, ყოველი პურის ჭამის წინ და შემდეგ. არასოდეს არ უნდა დაჯდე სადილად, სანამ ხელებს კარგად არ დაიბან საპნით.

— სადილის წინ მე ყოველთვის ვიბან ხელებს.

— მარტო სადილის წინ დაბანა არ კმარა, გივი. ერთი ვაშლის შეჭმაც რომ გინდოდეს, მაშინაც კი ხელები უნდა დაიბანო.

— ვაშლი ხომ სუფთაა?

— ვაშლი რომ სუფთაა, შენი ხელები არ არის სუფთა, გესმის?

— ახლა არ მითხარი სუფთაა?

— რომ გითხარი, თუ ხილის ჭამას დააპირებ, მაინც უნდა დაიბანო, რომ არაფერი ჩაგყვეს ისეთი, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ თვალით, მაგრამ ზიანის მოტანა კი შეუძლია.

ფრჩხილები რომ ამოშავებული აქვს ზოგს, არ შეგინიშნავს?

— შეინიშნავს. მე არა მაქვს: დედამ მასწავლა ფრჩხილების გამოწმენდა.

— შენ თამაშობ, გივი, სხვადასხვა ნივთსა და

1) დასაწყისი იხ. ჟურნ. „ოქტომბრელი", № 1

საგანს ჰკიდებ ხელს, ამიტომ ფრჩხილებში მტვერი შედის, ჭუჭყი ჩნდება, ჭუჭყში კიდევ სხვადასხვა სნეულების ბაქტერიები მრავლდებიან. რაც უფრო გრძელია ფრჩხილი, მით უფრო მეტი უსუფთაობა გროვდება შიგ. ამის გამო ფრჩხილები პატარა უნდა გქონდეს. როგორც კი წამოიზრდება ფრჩხილები, მაშინვე უნდა მოიჭრა. ისე კი ყოველდღე დილითა და დაწოლისას უნდა გამოიწმინდო კარგად, რომ შიგ არაფერი ჩარჩეს. ძალიან კარგს იზამ, თუ იქონიებ ფრჩხილების საწმენდს. ჰო, გივი, ერთი რამ უნდა მეკითხა შენთვის და გადამავიწყდა: კბილებ შუა რომ ხორცისაგან პურის ნაწილი გაგეჩხირება, რით გამოიღებ ხოლმე?

— დედას გამოვართმევ ხოლმე ქინძისთავს ან ნემსს და იმით გამოვიღებ.

— არ ვარგა, გივი. ქინძისთავი და ნემსი ღრძილს გაგიკაწრავს, დაგიზიანებს, რაკი ღრძილი დასნეულდება, კბილს მოსცილდება; კბილსა და ღრძილს შუა ჩირქი დაიწყებს დაგროვებას, კბილი დაჭიანდება ან ფამფალს დაიწყებს და ბოლოს მოძვრება.

საზოგადოდ, კბილების ჩიჩქნა მავნე ჩვეულებაა. თუ კარგად გაიწმენდ კბილებს საწმენდით, ნამცეცებიც გამოცვივდება. თუ მაინცდამაინც შეგაწუხა, აიღე სარკე და ქათმის ან ბატის წათლილი ფრთით გამოიღე ნამცეცი.

თუმცა წინდები გვაცვია, ფეხსაცმელიც, მტვერს ისეთი თვისება აქვს, რომ ფეხსაცმელშიაც გაატანს, წინდაშიაც და მოედება ტერფებს. ამიტომ დაუბანელი ფეხებით არასოდეს არ უნდა დაწვე ლოგინში. როდესაც გაიხდი ტანისამოსს, ფეხები კარგად უნდა დაიბანო, თითები გამოიწმინდო, ფეხისგულებზე ფრჩხილებით ჩამოიფხიკო ჭუჭყი, შეიმშრალო და შემდეგ დაწვე. ზამთარში უმჯობესია შემთბარი წყალი ფეხების დასაბანად, სხვა დროს კი ცივი წყლითაც შეიძლება დაბანა. ფეხის თითებზე ფრჩხილები უნდა მოიჭრა ათ დღეში ერთხელ.

განსაკუთრებულ სისუფთავეს მოითხოვს სასქესო ასოები და საჯდომი. როდესაც შარდი იღვრება, რამდენიმე წვეთი უსათუოდ ჩარჩება ასოს ჩუჩასა და ჩარბებში. შარდში გახსნილია სხვადასხვა ნივთიერებანი, რომლებიც გამოიწვევენ ჩუჩასა და ჩარბებზე კანის აქერცვლას, ანთებას, ბევრჯერ დაწყლულებას და დაჩირქებას იმდენად, რომ ოპერაცია არის საჭირო. ამიტომ შარდის გამოსავალ ადგილას და იმის გარშემო ნაწილებს უსათუოდ უნდა გაწმენდა ყოველდამე თბილ წყალში დასველებული ტილოთი. საჯდომის დანიშნულება მეტად დიდია: ის ათავისუფლებს ნაწლავებს განავლისაგან, რომლის მოცილებაც დღეში ერთხელ-ორჯერ აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. საჯდომი იმდენადვე საპატიო საქმეს ასრულებს, რამდენადაც პირი. ამიტომ თავმომწონე ადამიანი, სამაგალითო ოქტომბრელი, ისევე უნდა ზრუნავდეს საჯდომის სისუფთავეზე, როგორც პირის სისუფთავეზე. ყოველთვის, როდესაც ნაწლავები დაიცლება, საჯდომი უნდა გაიწმინდო სუფთა ქაღალდით, შემდეგ აუცილებლად მოიბანო ცივი წყლით და კარგად გაიმშრალო. ორ დღეში ერთხელ კიდევ უნდა მოიბანო თბილი წყლითა და საპნით.

— მე მაგას მოვუნდები და როდისღა ვისწავლო?

— სისუფთავის დაცვასაც ცოდნა უნდა, გივი, და ეს ცოდნა იმდენადვე აუცილებელია, საჭირო და სასარგებლო, რამდენადაც სწავლა. სამაგალითო ოქტომბრელი ყოველთვის გამონახავს დროს როგორც სწავლისათვის, აგრეთვე ტანვარჯიშობისა და სისუფთავისათვის.

ახლა ეს ვიკითხოთ, გივი, თუკი თავი და ფეხები გვიმტვერიანდება და გვიჭუჭყიანდება, ჩვენი სხეულის დანარჩენ ნაწილს რაღა იფარავს?

— ტანისამოსი.

— აჰ, წააგე გორის ციხე, გივი! მტვრის ნაწილი უსათუოდ გაატანს ტანისამოსში.

— ვიცი, ვიცი, სხეულიც ჭუჭყიანდება და ამიტომ დავდივართ ხოლმე აბანოში.

— მართალი ხარ, გივი, მართალი, მტვერი ტანისამოსშიაც გადის, შეერევა ოფლს და აჭუჭყიანებს კანს. ამისათვის საჭირო არის ექვს დღეში ერთხელ მაინც მთელი სხეულის კარგად დაბანა საპნითა და თბილი წყლით. ამის გარდა ძალიან კარგს იზამ, თუ ყოველდამ დაწოლის წინ მთელ სხეულს გაისუფთავებ ცივ წყალში დასველებული პირსახოცით, შემდგომ კარგად შეიმშრალებ და ჩაკოტრიალდები ლოგინში.

ადამიანი პირუტყვისაგან სხვათა შორის იმით განსხვავდება, გივი, რომ ატარებს საცვლებს, ტანისამოსს. სანამ გარედან კანამდის მიატანდეს, მტვერმა უნდა გაიაროს ტანისამოსი, საცვლები და სვრის, აჭუჭყიანებს მათ. საცვლები პირდა-

პირ კანზე გვაფარია, ამიტომ მათ ედება ოფლი. ოფლში არეული მტვერი საცვლებს განსაკუთრებით აჭუჭყიანებს. ამის გამო ექვს დღეში მაინც საცვლებს აუცილებლად უნდა გამოცვლა და კარგად გარეცხვა.

ტანისამოსის გარეცხვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. საზაფხულო ტანისამოსი გაირეცხება, როცა გაჭუჭყიანდება, საზამთრო ტანისამოსი, პალტო ყოველდღე უნდა გაფერთხო, ტალახი თუ აცხია, გააცალო და კარგად გაასუფთაო ჯაგრისით. ლაქების წინააღმდეგ კარგია სპირტი, ბამბა დაასველე სპირტში და კარგად წაუსვი ლაქებიან ადგილებს. განსაკუთრებით მტვერიანდება ფეხსაცმელი, ამიტომ ფეხსაცმელებს მტვერი უნდა გააცალო ჯაგრისით დღეში რამდენჯერმე და არასოდეს არ უნდა წამოწვე ლოგინზე ფეხგაუხდელი.

ქუდსაც სჭირდება გაფერთხვა და გაწმენდა. ზოგს აქვს ერთი მეტად ცუდი ჩვეულება: ტანისამოსის გაფერთხვა და გაწმენდა ოთახში. ერთი რომ მთელი მტვერი ოთახში რჩება და ედება ლოგინს, ტანისამოსს. მეორეც — ტანისამოსზე ხშირად სხვადასხვა სენის ბაცილებია. როდესაც ტანისამოსი ოთახში იფერთხება, მტვერთან ერთად ბაცილები ოთახშივე ცვივა ლოგინზე, ავეჯეულობაზე და გამოიწვევენ შემდეგ ამათუიმ გადამდებ სნეულებას.

განსაკუთრებით ჭუჭყიანდება წინდები, მეტადრე მაშინ, თუ ვისმე ფეხის ოფლი სჩვევია. გაოფლიანებული წინდები საშინელ სუნს აყენებს. ამიტომ წინდებს ხშირად უნდა გამოცვლა.

არ შეგინიშნავს, გივი: ოთახში ჭუჭყიანდა მზის შუქი ელვარებს, და მტვრის ნაწილები შიგ ნავარდობენ.

— შემინიშნავს.

— ჰოდა, რაგინდ სუფთა იყოს ბინა, იმის ჰაერში მტვერი მაინც არის. ეს მტვერი ედება საბანს, ბალიშს, ზეწარს, ლეიბს, და სხვ. ღამე ხშირად ოფლი გამოგვდის, რაც ხელს უწყობს ლოგინის გაჭუჭყიანებას. ამიტომ დროდადრო საჭიროა ბალიშის პირისა და ზეწრის გამოცვლა, საბნის, ლეიბის და ბალიშის გაფერთხვა და გამზეურება.

ყოველივე ეს აუცილებელია, გივი, რომ სისუფთავე დაიცვა. სისუფთავე ჯანმრთელობის საძირკველია, ჯანმრთელობა კიდევ შრომისა.

ოქტომბრელი კი უნდა იყოს ჯანმრთელი, რომ ისწავლოს, იშრომოს და საუკეთესოდ შეასრულოს ყოველივე, რასაც სტალინი ასწავლის.

არ კმარა, გივი, რომ მხოლოდ შენ იყო სუფთა; ყოველი შენი ამხანაგი, ყველა ოქტომბრელი უნდა იყოთ სუფთა, თორემ ჭუჭყიანი სუფთას გასვრის.

შენ უნდა ასწავლო შენს ამხანაგებს სისუფთავე; ჩახედე ხოლმე ყურებში, კისერში, გაუსინჯე ხელები, თითები, ფრჩხილები, გამართე შეჯიბრება სისუფთავეში, და ყველა მალე მიეჩვევა სისუფთავეს.

შ. თაბუკაშვილი

ციებცხელება შეჭამა... თევზმა!

— ბავშვებო, ბავშვებო! ციებცხელება შეუჭამია თევზს, ციებცხელება! — ქაქანით და გაღიმებული სახით ეუბნებოდა რაფო ბავშვებს. — დედა არ მომიკვდება, მართალს ვამბობ, მამამ მითხრა!

ბავშვებმა გაიცინეს, მაგლომ კი წამოიძახა:

— წადი... მატყუარა!

— დედა არ მომიკვდება, მამამ მითხრა! — იწყინა რაფომ. ამ დროს დეიდა ბაბომ შემოაღო კარი. მისცვივდენ ბავშვები და უამბეს რაფოს „ტყუილი".

— ბავშვებო, რაფოს მართალი უთქვამს. ციებცხელებას მართლა ჰამს ერთი პატარა თევზი, რომელსაც გამბუზია ჰქვია, — თქვა დეიდა ბაბომ.

ცულლუტ ლავრენტის ყველაფერი ხუმრობა ეგონა და ხითხითით თქვა:

— შეჭამა, აბა, რატომ ვერ შეჭამდა! ციებცხელებას ძვალი აქვს თუ? ყელში კი არ გაეჩხირებოდა!

— ბიჭო, სულ უნდა იხუმრო? — უსაყვედურა ბაბომ და განაგრძო:

— თქვენ კარგად იცით რა არის კოლო. კოლო ორნაირია. ერთს ჰქვია კულექსი, მეორეს — ანოფელესი. ორივე საძაგელია, ორივე იკბინება, მაგრამ კულექსი საშიში არ არის — გიკბენს და მეტი არაფერი. ანოფელესი კი ძალიან საშიშია: უკბენს ციებით დაავადმყოფებულ ადამიანს, ამოსწუწნის სისხლს, იმ სისხლში კი ციების ბაცილებია. მერე დააჯდება ჯანმრთელ კაცს, უკბენს და ამ დროს ციების ბაცილები იმ ნაკბენში გაძვრებიან, გამრავლდებიან სხეულში და დააავადმყოფებენ ჯანმრთელ ადამიანს. ანოფელესი ავრცელებს ციებას, ამიტომაც უნდა მოვსპოთ ის.

— დეიდა ბაბო, რანაირად უნდა შევატყო, კულექსია თუ ანოფელესი?

— ეგ ადვილია. როდესაც ციების კოლო დაგაჯდება, ანოფელესი, ის თავდაყირაა — თავი ძირს აქვს, კუდი კი მაღლა. კულექსი რომ დაგაჯდება, იმას კუდი მაღლა აწეული არა აქვს. აი ამით მიხვდები.

— თევზი მაინც რა შუაშია? — იკითხა ცნობისმოყვარე ელომ, და მაგლოც სმენად ქცეულიყო, ახლა აღარ აპირებდა ეთქვა რაფოსთვის „წადი... მატყუარა!“

— ახლავე გეტყვით, — უპასუხა ბაბომ. — კოლო კვერცხებს დებს ჭაობში, ტბებში. ამ კვერცხებიდან იჩეკებიან მურები. მურები რომ დაიზრდებიან, კოლოებად გადაიქცევიან. პატარა თევზი გამბუზია მუსრს ავლებს კოლოს მურებს — სანსლავს და სანსლავს. აი ამნაირად ჭამს თევზი ციებას, ანუ მალარიას.

— მერე, სად არის ასეთი თევზი?

— ეს თევზი იტალიაშია. საბჭოთა ხელისუფლების დავალებით იქიდან ჩამოიყვანეს ბათომში და შეუშვეს ჭაობებში, ტბებში.

— სადაც გამბუზიაა, იქ არ ედგომება ციების კოლოს, საზიზღარ ანოფელესს. აბა თქვით, როგორ უნდა გამოიცნოთ ანოფელესი?

— კუდი აქვს აპრეხილი, კუდი!

— თავდაყირა იცის ჯდომა!

ერთად აყვირდენ ბავშვები, შეურაცხყოფილმა რაფომ კი ტუჩები გადმოიბრუნა და მაგლო გამოაჯავრა;

— წადიიი... მატყუარა!

●●●

ბავშვთა შემოქმედება

გაუთავებელი ამბავი

(ზღაპარი)

მე-18 შრომის სკოლის მე-6 კლასის ფრიადოსანი ელისო აბრამიშვილი. მან ჩინებულად შეისწავლა ფრანგული ენა, თარგმნის პატარა-პატარა მოთხრობა-ზღაპრებს. მისი თარგმანებიდან ქვემოთ იბეჭდება ზღაპარი „გაუთავებელი ამბავი“.

იყო ერთი მდიდარი მეფე. ამ მეფეს ძალიან უყვარდა მოსმენა რაიმე ამბისა ან ზღაპრისა. ერთხელ მან მოისურვა, რომ ვისმეს ეამბნა მისთვის გაუთავებელი ამბავი. ვინც ამას შეასრულებდა, მას თავისი ქალიშვილის მითხოვებას ჰპირდებოდა.

ამ ამბავმა ხალხში ჩოჩქოლი გამოიწვია. ყველას სურდა ეს ბედნიერება, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ დიდ ჯილდოსთან დიდი დასჯაც მოელოდათ: ვინც გაუთავებელ ამბავს ვერ იტყოდა, თავს მოჰკვეთდენ.

ერთმა მამაცმა კაცმა იკისრა ეს სახიფათო საქმე და ეწვია მეფეს. მეფემაც ცქვიტა ყურები და ერთი საათის განმავლობაში სიამოვნებით უსმენდა ნაამბობს. ერთი საათის შემდეგ კი მოთხრობა შეწყდა.

— როგორ, მეტი არაფერი? — შეეკითხა განცვიფრებული მეფე, — უკვე გაათავე?!

— მეტი აღარ ვიცი, — უპასუხა სასოწარკვეთილებით.

მეორე დღეს იმ მამაცის მოკვეთილი თავი სარზე იყო ჩამოცმული.

მეორე დღეს კვლავ ესტუმრა მეფეს სხვა პიროვნება, მაგრამ ამასაც იგივე უბედურება ხვდა წილად. მან ორი საათის განმავლობაში დაუსვენებლად ილაპარაკა და შედმეგ მოთხრობაც შეწყდა. პირველი კაცის მოკვეთილ თავს მეორე მიემატა.

მესამემაც ცადა ეს საქმე, მაგრამ იმისი ცდაც ამაო იყო. ეზოში უკვე ჩანდა სამი უბედური ადამიანის მოკვეთილი თავი.

— აბა, შენ კი აუცილებლად უნდა მიამბო დაუსრულებელი მოთხრობა, — უთხრა მეფემ, როდესაც კარს მოადგა მეოთხე.

დაჯდა მეფე სავარძელში, სიამოვნების მოლოდინით გაბრწყინვებული თვალებით — და იმ გაუთავებელ ამბავს. ახლადმოსულმაც გულმოდგინედ დაიწყო:

— ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდა ერთი გულკეთილი მეფე. ხალხიც ძალიან დიდ პატივს სცემდა მას. ერთ მშვენიერ დღეს მეფემ ბრძანა — მუშებს აეშენებიათ დიდი, მთისოდენა უფანჯრო სახლი, სადაც შეინახებოდა ხალხისათვის პურეულის მარაგი. ამ უზარმაზარ სახლს ზევით ჰქონდა პატარა ნახვრეტი. ეს ბრძანება იმწამსვე შეასრულეს.

ერთხელ ამ ქვეყანას თავს დაესხა კალიების ხროვა, ცა მწერებით გაივსო. კალიებმა მიაგნეს ნახვრეტს, სადაც ამოდენა ხორბალი ინახებოდა. შეფრინდა ერთი კალია და აიღო ერთი მარცვალი.. შეფრინდა შემდეგი კალია და აიღო ერთი მარცვალი... შეფრინდა შემდეგი და აიღო ერთი მარცვალი... და ეს კაცი აღარ ათავებდა ამის ლაპარაკს. ერთი დღე და ერთი ღამე ამას უამბობდა მეფეს.

— კარგი, მაგრამ როცა ამ ხორბალს სულ წაიღებენ კალიები, მერე რაღა მოხდება? — უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ.

— მოითმინეთ, ჯერ არ გამითავებია და როცა დავასრულებ, მაშინ კი მოგახსენებ, — დამშვიდებით მიუგო მოამბემ. მან კვლავ განაგრძო გაუთავებელი ამბავი და მთელი დღეები იმეორებდა ამ სიტყვებს: „მოვიდა შემდეგი და წაიღო ერთი მარცვალი“.

გავიდა წელიწადი.

— მეფე სასოწარკვეთილებას მიეცა. მობეზრდა ამ ფრაზების მოსმენა და მოამბეს მიმართა:

— კარგი, მე ძალიან ნასიამოვნები ვარ. მომიცია შენთვის ჩემი ქალიშვილი, შენ იყავი მეფე, ის დედოფალი, იცხოვრეთ კარგად და ტკბილად.

თარგმნილი ფრანგულიდან **ე. აბრამიშვილის** მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასრეული

ამ სურათის მიხედვით შეადგინეთ მოთხრობა და გამოგზავნეთ რედაქციაში. საუკეთესოები დაიბეჭდება ჟურნალ „ოქტომბრელში“. ავტორები ჯილდოდ მიიღებენ „ოქტომბრელის“ 1936 წ. ყველა ნომერს.

ჩრდილები

ქუდიანი კაცი

მ ა მ ა ლ ი

კურდღელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომი და კურდღელი

(იგავი)

ერთხელ ბორიტმა ლომმა უამრავი ცხოველი გაჟლიტა. მაშინ მასთან სხვები მივიდენ და მოახსენეს:

— რატომ ინებებ სრულიად ჩვენს მოსპობას! უკეთესი არ იქნება ჩვენ თვითონ გამოგიგზავნოთ ეოველდღე საჭმელად ერთი ჩვენთაგანი?

ლომი დათანხმდა. ერთხელ ბებერი კურდღლის რიგი დადგა. მას იმედი ჰქონდა---ეშმაკობით გადავრჩები ლომის კლანჭებს და სიცოცხლეს შევინარჩუნებო. საღამოს მიუახლოვდა იგი გამოქვაბულს. ლომმა საშინლად დაიღმუვლა:

— ასე გვიან რატომ ცხადდები, მე მთელი დღე არაფერი მიჭამიაო!

კურდღელმა მიუგო:

— შენთან რომ მოვდიოდი, გზაზე შემომეჩეხა რომელიღაც სხვა ლომი და არ მიშვებდა. მე შევფიცე: დავბრუნდები, მხოლოდ ახლა გამიშვი ცოტახნით მეთქი.

აქ ლომმა სიბრაზისაგან კბილები დაახრჭიალა და თქვა:

— წავიდეთ ჩქარა და მაჩვენე ის საზიზღარიო!

კურდღელმა მიიყვანა ლომი მეტად ღრმა ჭასთან, სადაც მას დაანახვა წყალში საკუთარი გამოსახულება და უთხრა:

— აი, ის არისო.

ლომი გადავარდა ჭაში და დაიხრჩო.

კლ. თევზაძე

№ 1-ში მოთავსებულ ამოცანების და აკროსტიხის ახსნა

1. გალიაში იყო 12 კურდღელი და 23 ხოხობი.

2. ჯერ გავიდოდა ორი ვაჟი, ერთი უკანვე დაბრუნდებოდა ნავით და მამას გაუშვებდა, მეორე ძმა გამოიყვანდა ნავს, ჩაისვამდა ძმას და გავიდოდენ.

3. კოდალა.

4. ეაჟა ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომი და კურდღელი

(იგავი)

ერთხელ ბორბოტმა ლომმა უამრავი ცხოველი გაჟლიტა. მაშინ მასთან სხვები მივიდენ და მოახსენეს:

— რატომ ინებებ სრულიად ჩვენს მოსპობას! უკეთესი არ იქნება ჩვენ თვითონ გამოგიგზავნოთ ყოველდღე საჭ�ერთი ჩვენთაგანი?

ლომი დათანხმდა. ერთხელ ბებერი კურდღლის რიგი დადგა. მას იმედი ჰქონდა---ეშმაკობით გადავრჩები ლომის კლანჭებს და სიცოცხლეს შევინარჩუნებო. საღამოს მიუახლოვდა იგი გამოქვაბულს. ლომმა საშინლად დაიღმუვლა:

— ასე გვიან რატომ ცხადდები, მე მთელი დღე არაფერი მიჭამიაო!

კურდღელმა მიუგო:

— შენთან რომ მოვდიოდი, გზაზე შემომეჭეხა როძელიღაც სხვა ლომი და არ მიშვებდა. მე შევფიცე: დავბრუნდები, მხოლოდ ახლა გამიშვი ცოტახნით მეოქი.

აქ ლომმა სიბრაზისაგან კბილები დაახრჭიალა და თქვა:

— წავიდეთ ჩქარა და მაჩვენე ის საზიზღარიო!

კურდღელმა მიიყვანა ლომი მეტად ღრმა ჭასთან, სადაც მას დაანახვა წყალში საკუთარი გამოსახულება და უთხრა:

— აი, ის არისო.

ლომი გადავარდა ჭაში და დაიხრჩო.

კლ. თევზაძე

№ 1-ში მოთავსებულ ამოცანების და აკროსტიხის ახსნა

1. გალიაში იყო 12 კურდღელი და 23 ხოხობი.

2. ჯერ გავიდოდა ორი ვაჟი, ერთი უკანვე დაბრუნდებოდა ნავით და მამას გაუშვებდა, მეორე ძმა გამოიყვანდა ნავს, ჩაისვამდა ძმას და გავიდოდენ.

3. კოდალა.

4. ეაჟა ფშაველა.